



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2022 წლის 27 აპრილი

დისციპლინური საქმე №50/22
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების ნაწილობრივ შეწყვეტის შესახებ

--- 2022 წლის 28 მარტის №50, №51, №52, №53, №54, №55 და №56 საჩივრების საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 31 მარტის №194/50-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ №50, №51, №52, №53, №54, №55 და №56 საჩივრების შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია. ამავე წერილით გამოთხოვილ იქნა საქმის მასალები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 31 მარტის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმე №50/22, №51/22, №52/22, №53/22, №54/22, №55/22 და №56/22 მოსამართლე --- მიმართ გაერთიანდა ერთ წარმოებად და დისციპლინურ საქმეს მიენიჭა №50/22.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

1.1 მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლიდან მიმდინარეობს შპს --- გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, მოსამართლემ არ გადაუვადა მხარეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

1.2 მოსამართლემ 2022 წლის 18 მარტს სასამართლო სხდომაზე გამოცხადებული შესვენებიდან დაბრუნების შემდეგ მხარეს გადასცა მტკიცებულებები, რომელსაც არ ჰქონდა სასამართლოში მასალების შესვლისა და რეგისტრაციის თავსართი. საჩივრის ავტორის განმარტებით მისთვის უცნობია მოსამართლემ თავისი ინიციატივით საიდან ამობეჭდა აქტები, რომლის გადაცემასაც მხარე ითხოვდა სარჩელით.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, მხარეს არ გადასცა სხდომის აუდიო- და ვიდეო ოქმი.

1.4. მოსამართლემ არასაკმაყოფილო მიზეზით არსებითად დაარღვია საქმის განხილვის ვადა. არ იმსჯელა --- მიერ 2021 წლის 25 ნოემბერს წარდგენილ შუამდგომლობაზე. ამასთან, 2022 წლის 18 მარტის სხდომაზე იმსჯელა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ მოპასუხე მხარის შუამდგომლობაზე ისე, რომ შუამდგომლობა მხარეს გაუგზავნა 2022 წლის 21 მარტს. ხოლო სხდომაზე არ მისცა შესაძლებლობა გამოეთქვა მოსაზრება წარდგენილ შუამდგომლობაზე.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2021 წლის 15 მარტს -- -- სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს -- -- წარმომადგენელმა -- -- მოპასუხე სსიპ -- -- მიმართ და მოითხოვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ქმედების განხორციელების დავალდებულება. ამასთან, მხარემ სარჩელით მოითხოვა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 19 მარტის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრა 10 დღიანი ვადა განჩინების ასლის ჩაბარებიდან.

2021 წლის 15 აპრილს მოსარჩელემ განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და წარადგინა სახელმწიფო ბაჟის გადახდის კვითარი, ასევე განახლებული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

-- -- სასამართლოს 2021 წლის 19 აპრილის განჩინებით შპს -- -- სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

2021 წლის 21 მაისს მოპასუხე სსიპ -- -- წარმომადგენელმა -- -- შუამდგომლობით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. მოპასუხე სსიპ -- -- წარმომადგენლის განმარტება, რომ სასამართლოში აქტის გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ -- -- დავის დასრულების შემდგომ, ანუ მას შემდეგ, რაც ერთჯერადად გასაჩივრებს მას დაინტერესებული პირი -- -- განმხილველ ორგანოში, მოპასუხის განმარტებით კი მოსარჩელე მხარეს არ გამოუყენებია ერთჯერადი გასაჩივრების შესაძლებლობა.

2021 წლის 25 მაისს -- -- განცხადებით მიმართა -- -- სასამართლოს და მოითხოვა სსიპ -- -- ადმინისტრაციული წარმოების მასალების გამოთხოვა სრულად.

საქმეზე სასამართლო სხდომა გაიმართა 2022 წლის 18 მარტს. სასამართლო სხდომაზე მოპასუხის წარმომადგენელმა -- -- განმარტა, რომ ადმინისტრაციული წარმოების სრული მასალები 2019 წლის 03 დეკემბრის №-- საგადასახადო მოთხოვნასთან მიმართებით სასამართლოში გადააგზავნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით. საქმის მასალები სხდომაზე გადაეცა მოსარჩელის წარმომადგენელს -- --. ამავე სხდომაზე, სსიპ -- -- შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 18 მარტის განჩინებით შეწყდა საქმის წარმოება შპს -- -- სარჩელზე მოპასუხე სსიპ -- -- მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნით.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გასაჩივრა მოსარჩელის წარმომადგენელმა 2022 წლის 15 აპრილს.

მხარემ სასამართლოს სხდომის აუდიო- და ვიდეოქმის გადაცემის, ასევე, სხდომის სტენოგრაფირების გაცემის მოთხოვნით სასამართლოს მიმართა 2022 წლის 18 მარტს, 24 მარტსა და 28 მარტს.

-- -- სასამართლოს 2022 წლის 7 აპრილს წერილის თანახმად, -- -- გაეგზავნა 2022 წლის 18 მარტის სხდომის ვიდეო- და აუდიოქმები. მხარეს განემარტა, რომ სხდომის სტენოგრაფირება მოცემულ საქმეზე არ ხორციელდებოდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები; 62-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, კი, მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. დამატებით, საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება.

აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი ადგენს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასებას. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავისმხრივ იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა, ფართო გაგებით, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, წინამდებარე გადაწყვეტილებაში მითითებული გარემოებები სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის უფლებამოსილებას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს

მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს უტყუარ მტკიცებულებებს წარუდგენს. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების საფუძველი არ არსებობს, უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეზე მოსარჩელეს სახელმწიფო ბაჟის გადახდა საქმის განხილვის დასრულებამდე გადაუვადდება. ეს წესი ვრცელდება მოპასუხეზედაც, თუ იგი ასეთ საქმეზე შეგებებულ სარჩელს აღძრავს. ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში.

გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია მოვალე. აღნიშნული ნორმა ვრცელდება მხოლოდ გადახდისუუნარობის საქმის წარმოების მიმართ.

დადგენილია, რომ -- -- სასამართლოს 2021 წლის 19 მარტის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულების გადავადების თაობაზე დაუსაბუთებელი იყო და არ ქმნიდა მისი დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

საჩივრის ავტორის 1.1 პუნქტში მითითებული გარემოებები შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად მიღებული განჩინების შემოწმებას, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინური სამართალწარმოების კუთხით, რადგან წარმოადგენს აქტის კანონიერებაზე ზედამხედველობას.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ამდენად, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გადაწყვეტა:

1. -- -- 2022 წლის 28 მარტის №50, №51, №52, №53, №54, №55 და №56 საჩივრებზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლე -- -- მიმართ, აქტის კანონიერების შემოწმების ნაწილში (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.1. პუნქტი).
2. გაგრძელდეს დისციპლინური სამართალწარმოება №50/22 დისციპლინურ საქმეზე მოსამართლე -- -- მიმართ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტებზე (წინამდებარე გადაწყვეტილების 1.2., 1.3. და 1.4. პუნქტები).

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი